ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.06.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/20

I შეკითხვა:

ადვოკატმა, როგორც ორგანიზაციის იურისტმა ზეპირი კონსულტაცია გაუწია ორგანიზაციის ბენეფიციარს სისხლის სამართლის საქმეზე. ორგანიზაციის მეორე ბენეფიციარს წაარმოადგენდა ამავე სისხლის სამართლის საქმეში არსებული პირი, რომელიც მოწმის სტატუსით სარგებლობდა და ორგანიზაციის დავალებით მომსახურება უნდა გაეწია ზემოაღნიშნულ ადვოკატს. მოწმის ინტერესები „პირველი ბენეფიციარის" ინტერესების საწინააღმდგოა. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის, როგორც კომპანიის იურისტის მიერ ორგანიზაციის დავალების შესრულებით ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკა?

II ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 6.2(ბ)).

იურისტი, რომელიც არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და შესაძლოა დასაქმებული იყოს რომელიმე ორგანიზაციაში, მასზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები.

ორგანიზაციაში მომუშავე იურისტი პირველი ბენეფიციარისთვის იურიდიული რჩევის გაცემისას მოქმედებდა, როგორც ადვოკატი. შესაბამისად, მისგან საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია ადვოკატს უნდა დაეცვა პროფესიული საიდუმლოებით და არ შეექმნა საფრხე მის საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა იგი. „მეორე ბენეფიციარის" ინტერესები

უპირიპისრდება პირველი კლიენტის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა კონფიდენციალობისა და კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება.

III დასკვნა:

ადვოკატი საადვოკატო მომსახურების მიღების მუსრველ პირთან გასაუბრებისას იღებს კოკონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი, მით უფრო არ ჩაერთოს იმავე საქმეში წარმომადგენლად, როდესაც აღნიშნული საფრთხეს უქმნის პირველი კლიენტისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

მითითება: რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.